საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/351

ქ. ბათუმი **14** ---- **ივლისი, 2021 წ.**

ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის MES 4 21 0000690010 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტთა სია, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალური ვადა ამოიწურა და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის MES 4 21 0000690010 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ პროფესიულ სტუდენტთა ***(დანართი №1)*** მიმართ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადა ამოიწურა და ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. დაინტერესებულ პირებს ***(დანართი №1)***, ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.

3. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

4. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2021 წლის 15 ივლისის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

5. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს კანცელარიას.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 14 ივლისის № 01-08/351 ბრძანების

დანართი №1

ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ის პირები, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალური ვადა ამოიწურა და ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

№	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
1.	ეთერ ქათამაძე		№ 01-09/349; 28.05.2018	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი
2.	გიული გვარიშვილი		№ 01-09/349; 28.05.2018	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი